შეთანხმება ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის შესახებ

ქ. თბილისი 22 მაისი, 2014 წ.

ერთი მხრივ ა.(ა).ი.პ. „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ ს/კ 404923785, (შემდგომში, „სააგენტო“), რომლის იურიდიული მისამართია მარშალ გელოვანის N 6, თბილისი, 0159, საქართველო, ხოლო ფაქტობრივი მისამართი – თბილისი,ახმეტელის გამზ 10ა, 0159, საქართველო, წარმოდგენილი დირექტორისბ-ნ გიორგი ჩხეიძის სახით,

და

მეორე მხრივ ა.(ა).ი.პ. “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი” ს/კ 204569617 (შემდგომშიIDFI) რომლის იურიდიული მისამართია თბილისი, ნიაღვრის №4, ბ.18, 0108, საქართველო, წარმოდგენილი დირექტორის ბ-ნიგიორგი კლდიაშვილის სახით

ვინაიდან IDFI ახორციელებს პროექტს „საქართველოში სახელმწიფოს კუთვნილი კომპანიები და მათი ეფექტიანობის კვლევა. ფოკუსი: სოფლის მეურნეობის სფერო“ (შემდგომში „პროექტი“);

ვინაიდან IDFI-მ 2014 წლის 21 მარტს პროექტის განხორციელებაში დახმარების მიზნით მიმართა სააგენტოს (შემდგომში „წერილი“);

ვინაიდან სააგენტო გამოთქვამს მზადყოფნას, რომ წერილში მოცემულ ფარგლებში ითანამშრომლოს IDFI-სთან, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიით

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. სააგენტოს მიერ IDFI-სთვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული, ბეჭდვითი, ზეპირი და/ან სხვა), ასევე IDFI-ს წარმომადგენლ(ებ)ის (მათ შორის თანამშრომლ(ებ)ის, დაქირავებული და/ან დაკავშირებული პირების) მიერ სააგენტოს წარმომადგენლ(ებ)ის და/ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არმქონე პირებისგან

პირდაპირი და/ან არაპირდაპირი ფორმით მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

2. დაუშვებელია პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით კონფიდენციალური ინფორმაციის რაიმე ფორმით გამოქვეყნება, მესამე პირთათვის გადაცემა და/ან სხვაგვარად გავრცელება სააგენტოს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.
3. კონფიდენციალური ინფორმაციის სააგენტოს თანხმობის გარეშე მესამე პირთათვის გადაცემას უთანაბრდება კონფიდენციალური ინფორმაციის არაჯეროვნად დაცვა, რამაც მესამე პირთათვის პოტენციურად თუ რეალურად ხელმისაწვდომი გახადა აღნიშნული ინფორმაცია.
4. IDFI-ის მიერ ამ შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში იგი ვალდებულია აუნაზღაუროს სააგენტოს აღნიშნულით გამოწვეული პირდაპირი/არაპირდაპირი ზიანი.
5. კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება მოქმედებს უვადოდ. მათ შორის აღნიშნული ვალდებულება გაგრძელდება სააგენტოს რეორგანიზაციის და/ან ლიკვიდაციის შემდეგ.
6. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა ხელმომწერ მხარეს.

ა.(ა).ი.პ. სოფლის მეურნეოების პროექტების მართვის სააგენტო	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
გიორგი ჩხეიძე დირექტორი ----------	გიორგი კლდიაშვილი დირექტორი ----------